

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყეშელაშვილი ზურაბ ზუვხრიკიძე

„20“ 11“ 2013 წელი

ეგზ. № 2

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის

ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ანგარიში № 54/00

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
ზოგადი მიმოხილვა.....	4
საბიუჯეტო პროცესი	5
ბიუჯეტის მაჩვენებლები	7
შემოსულობები.....	10
მიზნობრივი ტრანსფერი	12
გადასახდელები.....	13
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება.....	14
ცვლილებების ასახვა ბიუჯეტში.....	15
პროგრამული ბიუჯეტი	16
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	18
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	18
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:	18

აუდიტის ძირითადი მიზანი

დასკვნის გაცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელი პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ეთიკის ყველა ის მოთხოვნა, რომელსაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე, აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ზოგადი მიმოხილვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის მდგომარეობით შეადგენს 38.9 ათას კაცს, ფართობი მოიცავს 533 კმ²-ს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 16 ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც მოიცავს 55 სოფელს და ერთ ქალაქს.

2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 15 ა(ა)იპ და 2 შპს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ორგანიზაციების სუბსიდიური დაფინანსებისათვის გამოყოფილია 2839.0 ათასი ლარი, რაც მთლიანი გადასახდელების 38.7%-ს შეადგენს.

დასახელება	წლის გეგმა	6 თვის ფაქტი	შესრულების %
1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო საამღზრდელო ცენტრი	800000	447839	56,0%
2. ააიპ - სუფსის სამუსიკო სკოლა	58000	28200	48,6%
3. ააიპ - ლანჩხუთის სამხატვრო სკოლა	70000	35009	50,0%
4. ააიპ - ლანჩხუთის მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	79000	38640	48,9%
5. ააიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი	256500	125394	48,9%
6. ააიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა	110000	72092	65,5%
7. ააიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	276000	143935	52,2%

8. ააიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა	120660	67339	55,8%
9. ააიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ცენტრი	153720	80825	52,6%
10. ააიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი	52000	25800	49,6%
11. ააიპ - უფასო სასადილო მზრუნველობა მოკლევულოთავის	65000	31976	49,2%
12. ააიპ - საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“	400000	400000	100,0%
13. ააიპ - ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	115000	57227	49,8%
14. შპს „ლანჩხუთი – სერვისი“	4000	2000	50,0%
15. ააიპ – „ლანჩხუთი – კეთილმოწყობა“	115000	76930	66,9%
16. ააიპ - აგრო-ბიზნესცენტრი „ლანჩხუთი“	94200	54017	57,3%
17. შპს საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი - გურია“	70000	0	0,0%
სულ:	2839080	1687223	59,4%

2013 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, გამოყოფილი სუბსიდიების ათვისება სრულდება მცირე გადახდებით. აღსანიშნავია, რომ სუბსიდიის სახით ყველაზე დიდი თანხა 400.0 ათასი ლარი გამოყოფილია ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბ - ლანჩხუთის გურიის“ დასაფინანსებლად, რომელიც პირველ ორ კვარტალში სრულად იქნა ათვისებული.

საბიუჯეტო პროცესი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი საბიუჯეტო პროცესს წარმართავს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად. კანონის თანახმად, ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენისა და შესრულების პროცესს კოორდინაციას უწევს გამგეობის საფინანსო სამსახური, ხოლო წლიურ ბიუჯეტს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, საკრებულო.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი, საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, გამგებელმა 2012 წლის 4 სექტემბერს წარუდგინა წარმომადგენლობით ორგანოს, რომელმაც ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით აღმასრულებელ ორგანოს დაუბრუნა 2012 წლის 16 ნოემბერს. წარმომადგენლობით ორგანოში ბიუჯეტის შესწორებული პროექტის განმეორებით წარდგენა მოხდა 2012 წლის 22 ნოემბერს, ხოლო 2012 წლის 10 დეკემბერს №34 დადგენილებით წარმომადგენლობითმა ორგანომ დაამტკიცა 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი.

2013 წლის ბიუჯეტის პროექტში, პირველ ორ კვარტალში შევიდა 4 ცვლილება. ცვლილების ნაწილი განპირობებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის დადგენილებით გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის მიღებით, რაც მთლიანობაში შეადგენს 1 351.5 ათას ლარს, ხოლო ცვლილებების მეორე ნაწილი განპირობებულია გაზრდილი საკუთარი შემოსავლების სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე გადანაწილებით.

ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს თან ახლავს განმარტებითი ბარათი, რომელსაც ადგენს საფინანსო სამსახური სხვა სამსახურების მომართვების საფუძველზე. აღნიშნულ მომართვებში უნდა იყოს დასაბუთებული ცვლილების საფუძველი და კალკულაცია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ცვლილების საჭიროება არ არის დასაბუთებული განმარტებით ბარათში. საფინანსო სამსახურის პასუხისმგებელი პირის ახსნა-განმარტებით, ბიუჯეტში აღნიშნული ცვლილებები შედიოდა ხელმძღვანელ პირებთან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ვერ დგინდება აღნიშნული ცვლილებების საჭიროება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების ნაწილი ეხებოდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობების ერთი მუხლიდან მეორეში გადატანას, რაც მიუთითებს ადგილობრივ დონეზე ფინანსური სახსრების არაეფექტიან დაგეგმვაზე. ვინაიდან ცვლილებებზე წერილობითი მიმართვები ვერ

იქნა მოწოდებული, სავარაუდოა, რომ მუხლებს შორის თანხები ოპტიმალურად არ გადანაწილდებოდა.

სასურველია, ბიუჯეტში შეტანილი ყველა ცვლილების დასაბუთება წერილობით ეცნობოს საფინანსო სამსახურს და მასთან შეთანხმების საფუძველზე მოხდეს არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღება ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით.

საფინანსო სამსახურის წარმომადგენლის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელებისას არ გაითვალისწინეს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მეორე პუნქტის დაშვება, კერძოდ, თუ თანხის გადანაწილება ერთი პრიორიტეტის ფარგლებში არ აჭარბებს წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-იან ზღვარს, თვითმმართველ ერთეულს შეუძლია ცვლილება არ შეიტანოს წლიურ ბიუჯეტში. ბიუჯეტის ცვლილებების განხორციელებამდე მსგავსი საკითხების გათვალისწინება ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესის უფრო მოქნილად წარმართვას და საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

ბიუჯეტის მაჩვენებლები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 6 თვის განმავლობაში შესული ყველა ცვლილების გათვალისწინებით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 7339.5 ათასი ლარით, შემოსულობები - 7182.2 ათასი ლარით, ხოლო ნაშთი შემცირდა 157.3 ათასი ლარით.

	10.12.2012	04.03.2013	05.04.2013	17.05.2013	27.06.2013
შემოსულობები	5830.7	5830.7	5830.7	6343.8	7182.2
შემოსავლები	5705.5	5705.5	5705.5	6218.6	7057.0
არაფინანსური აქტივების კლება	125.2	125.2	1252.0	125.2	125.2

ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-
ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-
გადასახდელები	5830.7	5988.0	5988.0	6501.0	7339.5
ხარჯები	5800.7	5885.0	5914.3	5978.1	5979.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	30.0	103.0	73.7	522.9	1360.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-
ნაშთის ცვლილება	0.0	-157.3	-157.3	-157.3	-157.3

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბიუჯეტის პირველი ცვლილებით გაიზარდა გადასახდელები 157.3 ათასი ლარით, რაც განპირობებულია 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის ბიუჯეტში ასახვით, საიდანაც მთავრობის განკარგულებებით¹ გამოყოფილი თანხა იყო 105.4 ათასი ლარი, ხოლო თავისუფალი ნაშთი - 51.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით, წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის გამოყოფილი 16.4 ათასი ლარიდან 9.9 ათასი ლარი და სოფელ მამათის ხიდის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხიდან მიღებული ეკონომია - 6.5 ათასი ლარი, დაბრუნებულია სახელმწიფო ბიუჯეტში, კანონმდებლობის შესაბამისად. 89.0 ათასი ლარი, რომელიც 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით იყო ჩარიცხული, 2013 წლის ბიუჯეტის მიხედვით მიმართულ იქნა მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული მიზნების

¹ განკარგულებები: №972-2012 წლის 24 მაისი; №1380-2012 წლის 13 ივლისი; №2056-2012 წლის 24 დეკემბერი.

შესაბამისად (სოფელ მამათის ხიდის მშენებლობის დასრულებისათვის - 73.0 ათასი ლარი, ციტრუსის ხელშეწყობისათვის - 16.0 ათასი ლარი).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში მეორე ცვლილება შევიდა 5 აპრილს. გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება 2013 წლის ბიუჯეტში შეეტანა ცვლილებები და გაეზარდა ზოგიერთი სოციალური პროგრამის დაფინანსება - სულ 90.3 ათასი ლარით, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების შემცირების ხარჯზე. აქედან აღსანიშნავია რამდენიმე ცვლილება: 1. დასუფთავების ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი იყო 393.8 ათასი ლარი. აღნიშნული მუხლი შემცირდა 67.8 ათასი ლარით, რამაც გამოყოფილი თანხის 17% შეადგინა. 2. ა(ა)იპ „ლანჩხუთის სერვისის“ დაფინანსება შეადგენდა 20.0 ათას ლარს, რომელიც აღნიშნული ცვლილებით შეუმცირეს სრულად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლოს შესაძლებელი ხდება აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი თანხის 17%-ით შემცირება და ა(ა)იპ-ის დაფინანსების შეწყვეტა, არსებობს გონივრული მოსაზრება, რომ ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას ვერ ხერხდება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სწორად პროგნოზირება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში მესამე ცვლილება შევიდა 17 მაისს, რომელიც განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების² ასახვისა და ზოგიერთ მუხლებს შორის თანხების გადანაწილებით. საქართველოს მთავრობის №380 განკარგულებით - „საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის“ გამოყოფილი 69.1 ათასი ლარი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში


² №380 განკარგულებით - 69.1 ათასი ლარი; №390 განკარგულებით - 444.0 ათასი ლარი.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით უნდა ასახულიყო როგორც არაფინანსური აქტივების ზრდა და ასახულია „საქონელი და მომსახურების“ მუხლში.

შემოსულობები


ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის 10 დეკემბრის №34 დადგენილებით, 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 5830.7 ათასი ლარით, ხოლო 6 თვის განმავლობაში ყველა ცვლილების გათვალისწინებით, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 7182.2 ათას ლარს. შემოსულობების ზრდა ძირითადად განპირობებულია ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერის ასახვით³. დიაგრამაზე ნაჩვენებია ბიუჯეტის შემოსავლების ცალკეული კომპონენტების წილი თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტისა და 6 თვის ყველა ცვლილების გათვალისწინებით.

2012 წლის 10 დეკემბერს დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსავლები



³ საქართველოს მთავრობის განკარგულებაში: №466, №380 და №390.

2013 წლის 27 ივნისის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსავლები



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის გრანტები

	10.12.2012	27.06.2013
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	4584.5	4584.5
გათანაბრებითი ტრანსფერი	4364.5	4364.5
მიზნობრივი ტრანსფერი	220	220
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0	1351.5
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების	0	513.1
ფონდებიდან გამოყოფილი თანხები		
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	0	838.4

ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა გათანაბრებითი ტრანსფერი, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო. 2013 წლისათვის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით გამოეყო 4364.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 75%-ს უტოლდება. აღნიშნული მაჩვენებლის სიდიდე თვითმმართველობების ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

მიზნობრივი ტრანსფერი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ბალანსში, სახელმწიფოსგან დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით მისაღები შემოსავლები არ არის გამოყოფილი და ასახულია როგორც „საკუთარი შემოსულობა“. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, მიზნობრივი ტრანსფერი არ მიეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ შემოსულობას და შესაბამისად, ასახული უნდა იქნეს როგორც თვითმმართველობის „არასაკუთარი შემოსულობები“. აღრიცხვაში არსებული ხარვეზიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ ვერ მოხერხდეს მიზნობრივი ტრანსფერის საკუთარი შემოსულობისგან გამიჯვნა და შესაძლოა ის არამიზნობრივად დაიხარჯოს. 2013 წლის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სახელმწიფოდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 220.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა:

მიზნობრივი ტრანსფერის განაწილება (ათასი ლარი)

	გამოყოფილი	დამატებული	გეგმა
ჯანდაცვის პროგრამები	100.0	15.0	115.0
ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ხელშეწყობა	112.0	17.8	129.8
სარიტუალო ხარჯების დაფინანსების პროგრამა	8.0	0	8.0
სულ:	220.0	32.8	252.8


ნაჩვენები ცხრილიდან ჩანს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის გარდა დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტმა გადმორიცხულ თანხას დაამატა საკუთარი ფულადი სახსრები - ჯამში 32.8 ათასი ლარის ოდენობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მითითებული პროგრამების სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელება, მუნიციპალიტეტს აქვს დელეგირებული და მათზე დამატებითი სახსრების გამოყოფა არ არის მუნიციპალიტეტის ვალდებულება. აღნიშნული სახსრები მუნიციპალიტეტმა უმჯობესია გამოიყენოს ისეთი პროგრამების განხორციელებისათვის, რომლებიც მისი უფლება და ვალდებულებაა.

გადასახდელები

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის 10 დეკემბრის №34 დადგენილებით, 2013 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 5830.7 ათასი ლარით, ხოლო 6 თვის განმავლობაში ყველა ცვლილების გათვალისწინებით, აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენს 7339.5 ათას ლარს. გადასახდელების ზრდა გამოწვეულია 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გარდამავალი ნაშთისა და სპეციალური ტრანსფერით გამოყოფილი სახსრების ბიუჯეტში ასახვით.

2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით. დამტკიცებულისა და საბოლოო ცვლილების შედარება.



დიაგრამიდან ირკვევა, რომ მნიშვნელოვანი გადახრა ფიქსირდება „ეკონომიკური საქმიანობისა“ და „საბინაო კომუნალური მეურნეობის“ პუნქტებში. პირველ შემთხვევაში, ზრდა განპირობებულია საქართველოს მთავრობის განკარგულებით გზების რეაბილიტაციის დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრებით. საბინაო კომუნალური მეურნეობის მუხლი ბოლო ცვლილებით გაზრდილია 264%-ით, რაც განპირობებულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი 838.4 ათასი ლარით (ასახულია „გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობის“ მუხლში). საბიუჯეტო კლასიფიკაციის⁴ თანახმად, აღნიშნულ მუხლში არ უნდა ასახულიყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა. აქედან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ ბიუჯეტის „ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში“, გარდა აღნიშნული მუხლებისა, სხვა პუნქტებშიც არ ასახავს რეალობას და იგი არასწორადაა შედგენილი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში, თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. საფინანსო სამსახურის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, გამგეობას საკრებულოსთვის არ წარუდგენია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კვარტალური შესრულება⁵.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №672 ბრძანება.

⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 85-ე მუხლი.

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, საფინანსო ორგანო ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას“. 2013 წლის პირველი ორი კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 3189.6 ათასი ლარი, რაც 6.8 ათასი ლარით მეტია დაგეგმილთან შედარებით. ამავე პერიოდის დაზუსტებული ბიუჯეტით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა შეადგინა 3253.3 ათასი ლარი, რაც 66.4 ათასი ლარით ნაკლებია დაგეგმილ მაჩვენებელზე.

2013 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, ბიუჯეტის შემოსულობების ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 3182.8 ათასი ლარი, ანუ წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული საპროგნოზო მაჩვენებლის 54,6%. ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 3319.7 ათასი ლარით, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 56,9%-ია.

ცვლილებების ასახვა ბიუჯეტში

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად⁶, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელმა ორგანომ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, ბიუჯეტში უნდა შეიტანოს ცვლილებები და ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარუდგინოს წარმომადგენლობით ორგანოს.

2013 წლის 17 მაისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა №466 განკარგულება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ,“ რომლის თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 838.4 ათასი ლარი. ეს განკარგულება ოფიციალურად გადმოეგზავნა მუნიციპალიტეტს და მიღებული წერილი კანცელარიაში გატარდა 24 მაისს. გამგეობამ არ განახორციელა გამოყოფილი თანხების ბიუჯეტში ასახვა და 1 თვის ვადაში საკრებულოსათვის წარუდგენა, ამიტომ

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

აღნიშნული ცვლილება ბიუჯეტში შევიდა 3 დღის დაგვიანებით, 2013 წლის 27 ივნისს. შედეგად დარღვეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები დროულად არ აისახა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

პროგრამული ბიუჯეტი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები 2013 წლიდან გადავიდნენ პროგრამულ ბიუჯეტზე, რომლის შედგენაც უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად“. პროგრამული ბიუჯეტი არის შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტი, რომელშიც აღწერილია პროგრამის მიზანი, მოსალოდნელი შედეგი და მისი შეფასების კრიტერიუმები.

პროგრამულ ბიუჯეტთან ერთად წარმომადგენლობით ორგანოს აღმასრულებელი ორგანოსგან განსახილველად წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი, რომელიც საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მიზნებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს ადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, შესაბამისი სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციასთან კონსულტაციით. თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა, აგრეთვე წარდგენის ვადები. საფინანსო სამსახურის პასუხისმგებელი პირის განმარტებით,

მსგავსი შინაარსის დოკუმენტის მოძიება 2013 წლის პირობითების დოკუმენტთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა, შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი არ ფლობს მტკიცებულებას აღნიშნული პროცედურის განხორციელების თაობაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ მომზადებული პირობითების დოკუმენტი შეიცავს ყველა იმ იმფორმაციას, რომელიც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. მუნიციპალიტეტს საკუთარი პირობითების თანმიმდევრულობა მორგებული აქვს სახელმწიფოს პირობითულობაზე. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ განმარტავს თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას. მუნიციპალიტეტის მიერ პირველ პირობითებად დასახული „თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება,“ დელეგირებულია და არ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას.

საყურადღებოა ის, რომ აღნიშნულ დოკუმენტში პირობითების მიზნები და შედეგები ზოგადაა განსაზღვრული, ხოლო პროგრამის შეფასების ინდიკატორები უმრავლეს შემთხვევაში არ არის გაზომვადი. პროგრამის ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებელია გაზომვადი კრიტერიუმების შემუშავება, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს შეაფასოს, მიღწეულ იქნა თუ არა პროგრამის მიზანი. მაგალითად: „კეთილმოწყობის ღონისძიებების“ შედეგების შეფასების ინდიკატორია: „მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიმუშო მდგომარეობა“.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან, ჩანს დასახვეწია საბოლოო და შეუალედი შედეგების შეფასების ინდიკატორები, რომლებიც პროგრამის მიზნის მიღწევის შესაფასებლად უნდა იქნეს გამოყენებული. არსებული ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მიზნის მიღწევის დონის გაზომვას და სასურველია, ინდიკატორი ისე შეირჩეს, რომ შესაძლებელი იყოს მისი დათვლა.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებაზე განხორციელებული საქმიანობა შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს, საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებას „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, აგრეთვე სხვა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი გოგოლიძე



ხელმოწერა 18.11.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

ირაკლი კობრეიძე



ხელმოწერა 18.11.2013 თარიღი